ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი კუჭავას
მუნიციპლიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ”.

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმა“ არის წინასწარი დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს საგანგებო სიტუაციების მართვის ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება) მიხედვით მუნიციპალიტეტის ორგანოს, მისი სამსახურების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფას, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების განსაზღვრასა და მართვას. შესაბამისად, მასში დეტალურადაა განსაზღვრული სხვადასხვა ორგანოების ინსტიტუციური ვალდებულებები, მათი რესურსები და ყველა ჩართული მხარის ოპერატიული მოქმედებები, მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების დამაზიანებელი ზემოქმედებისაგან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვის მიზნით.

აღნიშნული გეგმის სტრუქტურა ასე გამოიყურება:

-მუნიციპალიტეტის აღწერილობა და ზოგადი მონაცემები;

-მუნიციპალური და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე შენობების ტიპი და მათი არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა;

-საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ორგანო (შტაბი) და ფუნქციები;

-მუნიციპალიტეტში არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემის აღწერილობა;

-საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისათვის საჭირო ძალები, მათი ტექნიკა - აღჭურვილობა;

-საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში ჩართული ორგანოები და მათი ამოცანები;

-მუნიციპალიტეტის რისკების შეფასება;

-მუნიციპალიტეტის რუკა მასზე დატანილი საფრთხეებისა და საშიშროების ზონაში მოქცეული დასახლებების აღნიშვნით;

-მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის საკომუნიკაციო სქემა;

-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ენერგო და საკომუნიკაციო ქსელების რუკები;

-მერიის შენობის ევაკუაციის გეგმა;

-საგანგებო სიტუაციების სცენარი.

,,სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო

სიტუაციების მართვის სამსახურში განხილულ იქნა ჩვენს მიერ შესათანხმებლად წარდგენილი საგანგებო მართვის გეგმის პროექტი, რომელიც შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა აღნიშნული უწყების მიერ.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.

მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^{1} მუხლის თანახმად საკრებულო ადგენს:

1.დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^{2} მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით 1 თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ

პროექტი

დადგენილება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილებით დამტკიცებული ,,საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების” პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმა.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ

პროექტი

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია:

ა) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

ბ) „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტის მიღების თარიღად ჩაითვლება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე.

გ) „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის ორგანოები ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს დელეგირების საფუძველზე ახორციელებენ.

დ) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის" მე-5 მუხლთან, რომლის თანახმადაც შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტების ორგანოების საგანგებო მართვისა და რისკის მართვის გეგმებს ამტკიცებს მუნიციპალიტეტების ორგანოების ხელმძღვანელები.

ე) საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილებით დამტკიცებული ,,საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების" პირველი მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც საგანგებო მართვის გეგმას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეიმუშავებენ და ამტკიცებენ საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის სუბიექტები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებით.

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსი: ზექა შენგელია